ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების,

კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული

მუშაობის შესახებ

(საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე პერიოდს)

2025-2026 წელი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია შედგება ათი დეპუტატისაგან:

1. ჟანა ნემსაძე;
2. ირმა ვაქერ-სებისკვერაძე;
3. დავით კიკნაძე;
4. ვლადიმერ ტალახაძე;
5. ვერა ოდიკაძე;
6. დოდო ხაჩიძე;
7. სპარტაკ ლაცაბიძე.
8. გივი თხელიძე
9. იზოლდა ვეფხვაძე
10. გივი მაისურაძე

კომისია უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულების შესაბამისად.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა თერთმეტი სხდომა. მოვისმინეთ:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტის ცენტრის“ ხელმძღვანელის ანგარიში

გაწეული საქმიანობის შესახებ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ

დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ა.(ა).ი.პ. „კულტურის, ხელოვნებისა და შიდა ტურიზმის განვითარების ცენტრის“

ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, რომელიც შეეხებოდა სკოლამდელი

დაწესებულებების გაერთიანებისა და მოქალაქეთა ჩართულობის აიპების აუდიტის

შემოწმების შედეგებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და

ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული
მუშაობის შესახებ

ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში .

მიმართულება რომელიც ჩვენ განვიხილეთ იყო ბავშვთა მხარდაჭერის, მრავალშვილიანი

ოჯახების დახმარებისა და სხვა სოციალური ქვეპროგრამების მიმდინარეობა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის განყოფილების
უფროსი მიერ ინფორმაცია მოწყვლადი ოჯახების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის თითოეული წევრი სხვა კომისიებთან ერთად, მაქსიმალურად იყო

ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის

განხილვასა და დამტკიცებაში. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ გაიცა სამი რეკომენდაცია

1.სპორტის განვითარების მიზნით მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალი სპორტული სექციებისთვის გამოყოფილიყო თანხა, რომელიც იქნა გათვალისწინებული.

2. კულტურის განვითარებისათვის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული წრეებისათვის ინსტრუმენტებისა და ფორმების შესაძენად გამოყოფილიყო 5000 ლარი რაც დაკმაყოფილებული იქნა.

3. 2026 წლის ბიუჯეტში ოქროსა და ვერცხლის მედლის მფლობელი კურსდამთავრებულებისათვის ერთჯერადად წახალისების მიზნით გამოყოფილიყო 20000 ლარი, რაც დაკმაყოფილებული იქნა.

ვთანამშრომლობდით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებთან, მერიის შესაბამის სამსახურებთან, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან. კომისია მაქსიმალურად ცდილობს წარმოაჩინოს ხარაგაულში განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით არსებული ა.(ა) ი. პ -ების, როგორც მიღწევები, წარმატებები, ასევე დასაძლევი საკითხები.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმირებულობით და ჩართულობით ვიმყოფებოდით ბორითის სკოლასა და ბაღში, ჯანდაცვის სამსახურთან ერთად, სადაც ფიქსირდებოდა ინფექციური დაავადების ფაქტები. გადავეცით სკოლას შესაბამისი ხსნარები, დავათვალიერეთ ოთახები და გავეცით რეკომენდაციები.

რისი მეშვეობითაც, დროულად მოხდა სკოლაში ინფექციის შემთხვევის აღმოფხვრა და გავრცელების თავიდან აცილება.

დედის დღესთან და 8 მარტთან დაკავშირებით განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრებმა შეარჩიეს სოფლებიდან მოწყვლადი ჯგუფის ბავშვები, რომელთაც ჩავუტარეთ უსასყიდლოდ დეკუპაჟის მასტერკლასი, ბავშვებმა თავისი ხელით დაამზადეს დეკორატიული სარკეები, რომელიც გადაეცათ საჩუქრად, ასევე საჩუქრად მიიღეს ეპოქსიდით დამზადებული სუვენირები.

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია აქტიურად იყო ჩართული გაეროს მოდელირების პროგრამის კონკურსში, პირად გვერდებზე მოხდა განთავსება ინფორმაციის ასევე ახალგაზრდულ გვერდზე რომ რაც შეიძლებოდა მეტი ბავშვი ყოფილიყო ჩართული ამ პროექტში ხარაგაულიდან, მონაწილეობის შემდეგ შერჩეული ბავშვების შემდეგ ეტაპზე წაყვანა ტრანსპორტირება უზრუნველყო მერიის მხარდაჭერით ,განათლების , კულტურისა და ახალგაზრდულმა კომისიამ. ამ პროექტში ხარაგაულიდან გაიმარჯვა ერთმა ახალგაზრდამ შოთა წიქარიშვილმა.

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდული საქმეთა კომისია თანამშრომლობს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, სადაც სამიზნე ჯგუფებისთვის უახლოეს მომავალში გამოცხადდება საგრანტო კონკურსები, რაში დახმარებასაც პირადად კომისია გაუწევს დაინტერესებულ პირებს.

საანგარიშო პერიოდში განათლების , კულტურისა და ახალგაზრდულმა საქმეთა კომისია ჩართული იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა

საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოში არაერთი საჭირო და აქტუალური თემა იქნა განხილული და შესწავლილი საბჭოს ფორმატში.

კომისია აქტიურად იყო ჩართული კულტურულ, საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებში. დავესწარით არაერთ ღონისძიებას .

სანგარიშო პერიოდში შემოვიდა წერილები , რომელიც მომზადდა და გაეცა შესაბამისად პასუხი.

მინდა აღვნიშნო, რომ დეპუტატების მხრიდან კომისიის სხდომებზე ხშირი გაცდენა არ ფიქსირდება და კვორუმის არ არსებობის გამო სხდომა არ ჩაშლილა, რისთვისაც მადლობას ვუხდი კომისიის თითოეულ წევრს.

მადლობას ვუხდი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და საკრებულოს წევრებს თანამშრომლობისათვის, მადლობა საკრებულოს აპარატს მხარდაჭერისა და კომისიის გამართულად მუშაობის ხელშეწყობისათვის. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას თანამშრომლობისათვის.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ

საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ჟანა ნემსაძე